ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **46-462335329**
თარიღი: **19/12/2023**

ადრესატი: ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველო მოადგილეს

ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტების ძირითადი შემოსავლის წყაროა ქონების გადასახადი და დამატებული ღირებულების გადასახადი. ამასთან, 2020-2024 წლებში მოქმედებს შეზღუდვა და დამატებული ღირებულების გადასახადის გადანაწილების შედეგად თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მოცულობის ზრდა წელთან შედარებით ზრდის მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელი განსაზღვრულია არაუმეტეს 25%-ის ოდენობით. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2024 წლიდან გაიზარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთათვის განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგო 1 210 ლარიდან 1 330 ლარამდე, რამაც ასევე გამოიწვია მიმდინარე ხარჯების გაზრდა. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები არ არის საკმარისი 2024 წელს დაგეგმილი გადასახდელების დასაფინანსებლად და საჭიროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 300.000 ლარის გამოყოფა.

დავით შარაშიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია-მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი